


უნიკალური ზაფირი

ცლრთებისა და დამატება

გაზეთის № 382.

პირა, 21 აგვისტო 1911 წ.

დამატების № 67



ცლდურობა, ნახატი კ. ქავთანაძისა.

მომავარი

სოფლის ბოლოში, სწორს მინდორჩე, სდგის ისლით დასურული პატარა ქოხი. იგი სიძველისა გამო ერთი მხრით გადახრილია, ორი ბოძი აქვს მიბჯენილი, რომ არ წამოიჭერს. ქოხი ეკუთვნის სულიერად ავადმყოფს საბრალო ჯვებეს.

ჯვებებ მარტოხელა კაცია. ავადმყოფისა გამო ვერ მუშაობს და იყვებება მეზობლების წყალიბით, უფრო კი მეწისებრილე ბეკოს მამობრივი განწყობილება—ყურადღებით.

სამი თვედ რაც ჯვებებს ერთად-ერთი და წყალში, დაიზრის. მას დაბადებიდან, როგორც ჯვებებს, „ზე“ უვლიდა. მდინარეში ბანაობის დროს მოუარა საცოდავს თურმე და დაიზრის. ამ გარემოებამ საშინალი იმოქმედა ჯვებეზე. მას ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ უვლიდა ზე; სიკვდილიამდის მიიყვანა, დაასუსტა, გააძვალტყავა. ბოლოს გა-

ტიალებულს ქოხს თავი დაანება და სადღაც წავიდა, გადა- გარდა. დიდს ხანს არ დაბრუნებულა. მაშინ მეზობლებმა სთქვეს:

— ასრულდა ღვთის ნება! ხატზე გადაცემულს ოჯახს მაშ რა დაემართებოდა!!

ძმებიც ჰყავდა ჯვებებს. ერთი ბავშვობაში დაჰგლიჯა ცოფიანმა ძალმა, მეორე კი ჯარში შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ იშსვერჩლა. ეს კი უფლებას აძლევდა სოფელს, გარისხულს ოჯახს გასუვამოდა. მით უმეტეს, რომ სოფელი ჯვებებს პაპას დამნაშავედა სთვლიდა. მეზობლის დაწვას აბრალებდნენ. იგი თავის დანაშაულებაში არ გამოტყდა. მაშინ დამწვარმა ხატზე გადასუა დამწველი. ჯვებებს პაპა მაშინაც არ გამოტყდა. თითონ მას პირადად არაუგრი და- მართია, მაგრამ ძლიერმა ხატმა, რომელზედაც იყო გადა- ცემული, იმოქმედა მის შვილზე და შვილის-შვილებზე: ჯვე- ბებს დედა დაიწვა; სახეზე მდუღარე წყალი გადაესხა. აუწე- რელ ოანჯვასა და წვალებაში აღმოხდა საცოდავს სული.

ეს პირველი ცერ მოვლინებული რისხეა იყო. ამას მოჰყვა სხვები.

ჯვებებ კარგად იცოდა თავისი ხვედრი და ამიტომ ხშირად გარბოდა თავის სოფლიდან.

მეზობლები ხომ დარწმუნებულები იყვნენ ჯვებებს უცე. ღურებაზე.—დღეს ან ხვალ, მის სასჯელს მოელოდნენ.

ჯვებების ერიდებოდა ხალხისა, სულ მარტოდ ჩემიდოდა. თუ ვისმეს შემთხვევით შეხვედროდა, ძალდატანებით გაულიმებდა, მიესალმებოდა და სწრაფად განშორდებოდა. ჯვებები თავი სასტიკ დამნაშავედ მიაჩნდა და ამიტომ თვითეულის წინ თავს იხრიდა, თითქო პატიებას, შენდობას სახოვდა.

მარტობამ ჯვებებ თავის თავიან ლაპარაკს შეაჩერა. სახეს მუდამ ფიქრი უსერადდა. თვალებიდან გამოუქროდა ტანჯვა, მწუხარება. როცა თავის სოფელში იყო, დღით ქოხის წინ დაწვებოდა, პირალმა, უძრავად, დამით კი ქოხ. ში მოიკალათებდა. დილას განთიალს გაასწრებდა ოდგომას, წავიდოდა მდინარეზე, ხელპირს დაიბანდა სწორედ იდგილზე, სადაც მისი და დაიხრის. ერთს ხანს ნაპირზე ჩიმოჯდებოდა, ილაპარაკებდა და შემდეგ ან შინ დაბრუნდებოდა, ინ მეწისქვილებეკოსთან წავიდოდა.

მუდამ თავისთავს რალაცას უმტკიცებდა. ხშირად ხმასაც აუშვედა, დაიყვირებდა, ლაპარაკის ბოლოში აენთებოდა, თვალებზე სისხლი მოაწვებოდა. პაშინ მსწაფლად მოავლებდა იგი თვალებს ირგვლივ და მოვლებისთანავე დახუჭუჭუჭდა, სახე აუციხებდებოდა, ხელებს გულზე დაიკრებდა და

ცრემლიანი, გულდაწყვეტილი შეეკითხებოდა თავის თავს:

— ასეა ვითონი?

ზამთარ-ზაფხულ ჯვებებ ერთი და იგრვე ტანსაცმელი ეცვა: მოკლე, დაგლეჯილი: სახე დაკარგული ჩიხა, თავზე ეხურა მრვვალი ნაბრის ქუდი, გახუნებული, აქა-იქ ამოქმული. ფეხებზე არას იცვამდა, სულ ფეხშიშველი დადიოდა. ჩიხის იმ ადგილზე, სადაც სამასრე უნდა უოფილიყო, წვრილის კანაფით მიკერბული ჰქონდა ხის კოლოფი, რომელზედაც ხან ერთი ხელი ჰქონდა ჩამოდებული, ხან მეორე.

ამ კოლოფში ჯვებებ რალაცას მალავდა, არ აჩენდა.

რომ ეკითხათ მისთვის:

— რა გაქვს, ჯვებებ, მაგ კოლოფშიო?

ჯვებებ ან სულ არ უპასუხებდა, ან მორიდებულად გაულიმებდა, ეტყოდა:

— ფიცის წამალიო.

**

ამ სოფლისვე მეორე ბოლოში, მთის ჩერარი მდინარის პირად, სდგას წისქვილი. იგი აზნაურს ყარამანს ეკუთვნის და მთელი სოფელის პურსა ჰყევავს.

ერთი წელია მას აქეთ, რაც ყარამანმა მეწისქვილედ ბეკო დაიქირავა. იგი ღრმად მოხუცებული კაცია, დაბალი ტანისა, წელში მოხრილი ბეკო. მეზობელი სოფლიდან არის. თავის სოფელში იგი განთქმული „მწყევარი“ იყო. ოცდაათი წელი ემსახურა წმ. გიორგის ერთს უძღიერესს ხატს და კვლავად განაგრძობდა სამსახურს, რომ ერთს გარემოებას არ შეეცვალა მისი ცხოვრება.

ბეკოს დიდი შემოსავალი ჰქონდა ხატიდან, ანგონის სახელგანოქმულს მწყევარს და ხატს დიდებულს ჩამონებელს. ხელო მახლო თუ ვინმე მიმართავდა ხატს გადასაცემად, ბეკოს გვერდს ვერ აუვლიდა. ბეკომაც რამდენიმე ას მანეთს მოუყარა თავი. იგი ძმისას ცხოვრობდა, რადგანაც თითონ უცოლშვილო და უმიშაწყლო იყო. მა სარგებლობდა ბეკის ფულით და ამიტომ კარგად ეპყრობოდა. მაგრამ ერთს ღამეს ბეკოს ავაზაკები დაეცნენ და ფული მისთხვებს, ბეკომ უარი უთხრა, წინააღმდეგობა გაუწია. ავაზაკებმა იარაღს მიმართეს. წინა დროს ბეკოს ძმისწული 12 წლის ვაჟი — დაიკრა. ბეკოც მაგრად გაიახა. ფული, რაც გააჩნდა ბეკოს, მონახეს და წაიღეს. ბეკომ ცემა იტანა, მაგრამ ძმისწული მძიმედ აღმოჩნდა დატრილი და ერთი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამის შემდეგ აუხილდნენ ბეკოს ძმაც და რძალიკ.

— შენ რომ არ ყოფილიყო, შვილი ახლაც ცოცხალი მეყოლებოდა! რაღაც ორი გროვისათვის დაბალუბინე ვაჟიშვილი!! რა თვალებით შემომუტურებ, ნეტავ, ყოველდღე — აყვედრიდა რძალი.

მაგრამ ბეკოს ხატის იმედი ჰქონდა, რა „გადასაცემაც“ ემზადებოდა. თითონ დარწმუნებული იყო, რომ წმ. გიორგი მოჰქედავდა, მძარიცველებს ფულსაც დააბრუნებინებდა და სასტიკადაც დასჯიდა. ისიც იყო, ბეკომ დანიშნა დღე, როცა მთელი სოფელი უნდა დასწრებოდა ხატზე გადაცემას, რომ ბეკოსთან ავაზაკები მოვიდნენ და გააფრთხილებ:

— თუ გაღაგიცივართ ხატზე, ორს დღეს არ გაცოცხლებთ, არც შენ და არც შენი ძმის ოჯახსაო!

გაფრთხილება მინცა და მაინც ვერ იმოქმედებდა ბეკოზე, მაგრამ ძმამ უთხრა:

— ნუ გამიკირვებ, კაცო, საქმეს ოჯახი სულ არ დამიქციოო!!

— ეყოფა რაც ვარჩინეთ! მაგის მოწამლულის ენის პატრონი კიდე რამე უბეჭურებას შეკვერის. მოგვშორდეს! წავიდეს!! — ამბობდა, ბეკოს რძალი.

შეუძლებელი შეიქმნა ძმისას ცხოვრება, ვერც ხატზე გადასცა ავაზაკები, ვერც არა მოიმოქმედა. ხალხშიც მითქმა დაიწყეს:

— თუ სხვებს შველის და ხატს აგონებს, ახლა რა მოუვიდა? რად არ მიმართავს წმ. გიორგისაო?


ამის შემდეგ ბეკოს მხოლოდ და აბარგება დარჩენოდა. ასეც მოიქცა. შეკვერა ბარგი და მოშორდა თავის სოფელს. ყარამანს იგი მაშინ შეკვედა, როცა მეტი გატირვების გამო მათხვრობდა სოფლად და მოწყილებით იკვებებოდა. იმ დროს ყარამანს მეწისქვილე არა ჰყავდა. ბეკოს უთხრა:

„რად მათხვრობდა? წმომყევი, წმენილი ჩაიბარე და ჯამაგირსაც დაგინიშნავთ!!“

ბეკო დათანხმდა. ამის შემდეგ იგი ყარამანის წისქვილში დაბინავდა და მთელმა სოფელმა გაიცნო. უმთავრესად გაიცნო იგი ჯვებებმ, რომელიც თითქმის მთელი დღე მასთან იმყოფებოდა. ბეკოს ჯვებებიც ცოლდებოდა და ზრუნავდა მისთვის. — აქმევდა, ასმევდა. ჯვებებიც უხშირა სიარულს ბეკოსთან. ბეკოს პირველიც ერიდებოდა მისი, მაგრამ მალე



ალაგორის (თერგის ოლქი) ქართულ სკოლის ახალი შენობა.



† 1911 წ. 29 ივნის.

დაგვასის პირველი ქსილაფრაფი გრიგორ ტატიშვილი.

შეეჩინა. ხოლო ჯვებები კარგად გაიცნო ეს უცხო სოფლის კაცი და მთელის გულით მიენდო მას.

ბეკოს არ ჰყავდა დავიწყებულის მძარცველები და მკვლელები, რომელებმაც იგი გაამათხოვნეს და ასე გააუსედურეს. ყოველს დილას და სალამის სწყევლიდა მათ ბეკო. ამას კი ვერ ეწყობოდა ჯვებები, რაღაც მას ვერ ასმენდა კაცი ვერც ლვთის და ვერც სასწაულ-მომენტის ხატის სახელს. ჯვებები, როგორც ტყვიას ნადირი, ისე გაურბოდა ყოველს იმას, რაც მას ეკლესის, ლოცვას, ხატს აგონებდა. როდესაც გაიგო მან ბეკოს ჩვეულება, ეწყინა და სცლილობდა იმ დროს, როცა ბეკო წყევაში იყო, არ ენახა იგი, მაგრამ ვერ ახერხებდა და უნებლიერ მაშინ გაჩნდებოდა წისქვილის ახლო-მხხლო, როცა ბეკო გაცხარებული სწყევლიდა თავის დამლუპველთ. ბეკო კი ყოველს დილას აღრე გამოვიდოდა წისქვილიდან, დაიბანდა ხელპირს და შეუდგებოდა წყევას. ხელაპყრობილი, ქუდმოხდილი ასე მიმართავდა იგი ჭ. გიორგის:

— მოგმართავ შენ, წმინდათ გიორგი, ქრისტეს ჯარის მთავარ სარდალო, სწორუპოვარო შემართო! მოგმართავ ულირსი მონა შენი, რომელიც ოცდაათი წელი გემსახურ და გადიდა! წმინდაო და უძლეველო! შენი რისხის ლახ-გარი სამკედროდ სტყორუნე ჩემს გამატიალებელს, ჩემს დამ-ღუპველს, მცირე წლოვანი ძმისწულის მკვლელს! გაუპე თავი ლვთის მგმობელს, ჩაუქრე თვალის სინათლე ბოროტს და ეშმაკეულს! მოკვლიჯე გული, წარკვეთე უეხები, ხელები! გენია-ცეცხლი მოუკიდე მას, გააბოროტე, რომ იწ-ვეს ანთებულს ნაკვერჩხალზე და რბილი ბუმბული ეგონოს იგი, რომ მამა-პაპათა ძვალს ლრნიდეს იგი, ვით გახელებული ძალი და შაქრის ყინული ეგონოს იგი!! არბენინე სოფლიდან სოფელში, სახლიდან სახლში, და ცეცხლად და ნაპერწკლად აღიარებინე საშინელი დანაშაული, რომ ყოველი კაცი, თუ ქალი, დიდი, თუ პატარა, შორის გაუდგეს ეს, ქვები მიაყაროს, ახლო არ მიიკაროს, ამაგოს, სდევნოს, აწამოს!!! ამინ!

ასე იტყოდა ბეკო დილის წყევას. ჯვებები კი უსმენდა მას იქვე ხის ძირში მიმალული. უსმენდა ცახცახით, მთელის ტანის კანკალით. ადგილ-ადგილ ვერ აიტანდა იგი ბეკოს სიტყვებს და ყურში თითებს დაიცომდა. მაშინ სძულდა მას ბეკო. თავს იკავებდა, რომ არ მივარღნილიყო და არ ამოე-გლიჯა მისთვის ენა. თანაც ეშინოდა ბეკოსი, რაღაც მაშინ ბეკო წყევის დროს მრისხანე სახეს იღებდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ისეთის ხმით შეპლალადებდა ზეცას, თითქო არღვევდა ცას და ზეციერის მიუწლომელ ტახტს ასწვდებოდა.

წყევის შემდევ ბეკო ოთხივ კუთხით გადაწერდა პირ-ჯვარს, განსაკუთრებით ამომავალს მჩეს სცემდა თაყვანს და წისქვილის კარებისკენ გასწევდა. მაშინ ჯვებეც მოშორ-დებოდა ხეს და დაუძახებდა:

— ბეკო! ბეკო!

ბეკო ერთი შეკრთხებოდა, მოიხდავდა და, რა დაინა-ხადა ჯვებეს, ეტყოდა:

— მოდი, მოდი, საცოდავო ჯვებე! მოდი, პური ჭამე!! ჯვებე მორჩილად დაპყიდებდა თავს და ბეკოს წისქვილ-ში შექმებებოდა.

**

წისქვილის ცოტა მოშორებათ, მდინარის პირად, იყო ტყე, თითქმის სულ ლიფნის ხების ტყე, დახლართული იყო ეკალნარით და კაცი ადვალად ვერ შევიდოდა. ეს ადგილი ჭაობიანი იყო. მდინარე ტბად იდგა და აქა-იქ ხახის ჰქონდა მოკიდებული. აქ იდგა, თითქმის წყალში, ორიოდე ძეწნა¹⁾. უსიცოცხლო იყო ეს ადგილი. ძვირად თუ ჩიტი მაქცია დააჯდებოდა ლიფნის გამზარს ტოტს, ან ჭინჭრაქა²⁾ თავი-სებური ჰყივილით გადააფრინდებოდა ტყეს. გზაც შორს უვლიდა ამ ადგილს. შორიდან შესახარად გამოიყურებოდა ტყე, იგი შავი, გულჩახვეული იყო. შესაბრალისი იყო ძეწნები; მათ ლამაზთ და ნახთ-ლიფნის ტყე ჰქონდა, გარს ეხვეოდა, სულს უხუთავდა. მრავალი ღრეულით შეხეთქილი ნაპირი საშინლად გამოიყურებოდა, — ლიფნის მოწითანო ფესვები ზღაპრული მრავალფეხასავით წყალში ექანებოდა და ტბის გალიბულს ხავს შესახარად ატოკებდა. ეს ადგილი ღამ-ღამობით უფრო მყაცრი და საშიში იყო.

სწორედ ეს ადგილი აირჩია ბეკომ საღამოს სალოცავად. ერთს გამხმარ ლიფნის ძირში მუხლ-მოყრილი გულ-



ცნობილი შეცნიერი

პაქე ნორდაუ, სიონისტების ქმე-Х კანგრესის თავმჯდომარე.

1) რიონის მაგვარი ხე.

2) პატარა ჩიტი.

შეურვალედ სწყევლიდა იგი ყოველს საღამოს მის გამძარ-ცველთ, გამატის ლებელთ. შებინდებოდა თუ არა, ბეკო წამოვიდოდა ამ ტყისკენ. შესვლის წინ ერთს ხანს შეჩერ-დებოდა, უკან მოიხედავდა.

— ა! — შესძახებდა ხმა მაღლა და, რა დარწმუნდებო-და, რომ ახლო-ჩახლო არავინ იყო, დოდის შოკრძალებით შევიდოდა დაბურულს ტყეში და ლიფნის ხეს მიუახლოვ-დებოდა,

ბეკო დარწმუნებული იყო, რომ თვალყურს არავინ ადევნებდა. ეს ადგილიც იმისთვის თირჩია, რომ მტკიცედ შეენახა თავისი საიდუმლოება. რა თქმა უნდა, ტყეში შეს-ვლა ბნელ ლამეში ბეკოს არ აშინებდა, რადგანაც წისქვილ-ში ცხოვრებამ უკვე შეაჩვია ლამის იღუმალებას. ესეც რომ არ იყოს, ბეკო დარწმუნებული იყო წმ. გიორგის ურუარს მფარველობაზე ბევრი შელოცვაც იკოდა.

მიჩნეულს ხეს მორიცებით, ჩუმის ლიცვით მიუახლოვ-დებოდა ბეკო. ხელს შეახებდა მას და მაღლობას შესწირავ-და იმ ღმერთს, რომელმაც იგი დაუბრკოლებლად შემოიყვა-ნა დღეს ტყეში. ილოცვდა ერთს ხანს და მერე მთავარ საგანზე გადავიდოდა.

— მოველ კელავ მონა შენი ულირს და მოგიტანე ცოდვილის გულის ნადები — ჩემი სულის ცეცხლი და გე-ნია! შეისმინე ჩემი თხოვნა, ცხოველ-მყოფელო ქრისტე ღმერთო, ლვისმშობელო მარიამ, მთავარ ანგელოზო მიქელ-გამრიელო, და ჩემი საწყალი თავის მფარველო და ნათელ ბატონო წმ. გიორგი!!

ამის შემდეგ დასწყევლიდა ბეკო მტერთ; ახალის და ახალს სასჯელს ითხოვდა მათთვის.

გაათავებდა წყევას თუ არა, ამოილებდა გულის ჯიბი-დან ლურსმანს და ლიფნის ხეში შეასობდა.

— სანამდის ეს ლურსმანი თავისივე ძალით არ ამო-ვარდება ამ ხიდან, მანამდი გასჭრას ჩემმა სატყვამ! — იტყო და ბეკო და მობრუნდებოდა უკან. ტყიდან გამოსვლისას ერთს კიდევ შესძახებდა:

— ა! — და გამოსწევდა წისქვილისკენ.

წისქვილთან შეხვდებოდა მას ჯვებე. იგი მიუახლოვ-დებოდა ბეკოს, ჩახელავდა თვალებში.

— კიდევ? — ჰერთხავდა ჯვებე.

— კი, ჩემო ჯვებე! მოდი, ვიგახშემოთ კიდე!

მაგრამ ჯვებე ბეკოს არ მოუცდიდა და აჩქარებულის ნაბიჯით მოსცილდება.

— საით, საითი — შესძახებდა ბეკო.

— ახლავე, ახლავე, ზენი ჭირიმე! ახლავე, ბატონო, ჩემო ბეკო!! — უპასუხებდა ჯვებე და ლამის ბნელში მიიმა-ლებოდა.

— საწყალობელი ჯვებე! საცოდავი ჯვებე!! — ჩაილ-პარაკებდა ბეკო და შევიდოდა წისქვილში.

**

ერთს საღამოს ჯვებე წისქვილში არ მოვიდა. ამ გა-რემოებამ ბეკო შეაფირა.

— საღ არის საცოდავი ჯვებე? იქნება ჰშია? — სწუხდა ბეკო.

შედამდა კიდეც. ბეკომ ჩვეულებისამებრ წისქვილის კა-რი დაკეტა და ტყისკენ გაემართა. ალარულა თავის ჩვეუ-ლება, შეარცო ლურსმანი და ის იყო მობრუნდა თუ არა, შორით რაღაც ლანდს მოჰკრა თვალი. ბეკო შეკრთა. ყურები ცეკიტა. ფეხის ხმა მოესმა. შეშინდა, იგრძნო, რომ თმა ყალხზე დაუდგა. პირჯვარი გადაიწერა და ფეხაკრე-ფით წავიდა იქეთკენ, საიდანაც ხმარობა მოესმა: „ნუ თუ ვინმე ისმენდა ჩემს სიტყვებს! ვანმე უყურებდა ჩემს ლიტა. ნიებს“? გაიფიქრა ბეკომ.

ბეკოს თვალი საკმაოდ უჭრიდა. მიანალიტიკა დაუ-წყო შევს მიდამოს თვალიერება. კვლავ მოჰკრა თვალი ლანდს.

— ა! — წერეკითხა თავს და კანკალით წარსდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. ამ დროს მის წინ, სულ ახლო, გაირბი-ნა ლანდში. შევი იყო დიდი, უშეელებელი. ბეკო მუხ-ლებში ჩაიკეცა. ლანდი მიიჰკრა ბეკოს ლიფნის ხესთან, ხე-ლები შეაჩანა, შეჩერდა და ხეს დაუკაუნა. ბეკომ ყური მოჰკრა, რომ ერთი გამხმარი ტოტი მოიმტვრა, მიწაზე და-ვარდა... დაიმსხრა.

ბეკოს სული ეხუთება, განაბული უყურებს სასწაულს. თანაც ჩურჩულებს:

— ჰო, წმ. გიორგი, გამოიჩინე შენი ძლიერება! მოი-მოქმედე სასწაული!!

ერთს ხანს შევი ლანდი დარჩა ხის ძირში, რამდენჯერ-მე შეანძრია ხე და უკან მობრუნდა. კვლავ ბეკოს ახლო გაივლის. ბეკო ფართოდ დაალებს თვალებს და შეჩერდება ლანდს.

ერთი გაოცება გაოცდება, პირს დაალებს დასაყვირებ-ლად, მაგრამ ხმა დაეკარგება, და პირალმა დაეცემა. ლან-დი კი შევს წყვილიალში ინთება, იკარგება.

ბეკო ერთს ხანს შეხდაკრულივით დარჩება.

— ნუ თუ? ღმერთო ძლიერო!! — ბეკოს გული ძლიე-რად უცემს, ლამის არის ბუდიდან ამოხტეს.

— შენს ფრთებს ქვეშ ვაფარებ ჩემს მოხუცებულ თავს, უზენაესო!

პირჯვარის იწერს, ადგება და ლოცვით გამოვა ტყიდა მოდის ბეკო და თან ფიქრობს „იქნება წმ. გიორგის უკვე შეისმინა ჩემი ვეღრება და ერთი მხედართაგანი გამო-ჰეზავნა, რომ დაითვალოს ჩემი ლურსმები და ცის უფალს მოახსენოს! ან იქნება თითონ ის არის... ის, ჩემი დამღუპ-ველი, გამატიალებელი! ? პირო, თუ დადის იგი ქვეყნად ცეცხლმოკიდებული და ვერ ჰპოვებს თავშესაფარს! იქნება ცოდვის მოსახინებილობა ჩემს ახლო-მახლო დადის და მოს-ვლას კი ვერა ჰპედავს! ? პი, ვერც გაბედავს!! როგორ გაბე-დავს მომეკაროს? ვიხილო იგი მე თვალით და შევიბრალო არასოდეს!! მე ხომ ცოცხალი დამასამარა! მეწისქვილე, გლახადა! მერე რა ბეკო? ვინ ბეკო!! არა, მისი ხსნა არ შეიძლება! არ შევიბრალებ! ვერ შევიბრალებ!!

შეჩერდება ბეკო, უკან მოიხედავს და ხმა მაღლა იტ-ყვის:

— არ შევიბრალებ, რათა მე არ შემიბრალა მან!! ფეხს აუჩქარებს.

— მაგრამ, ამაღამ, რომ მოვაკუნოს კაჩხე? მოხვოვნა ბინა? პა! არა! ბეკო მას როგორ მისცემს ბინას! .. რომ პუ-რი მოხვოვნა? შემეცედროს, მოხვოვნა პატიება? არა! არა შენც უგალო, ნუ ჩამაგლებ მე განსაცდელში!!

ასეთი ფიქრებით ბეკო მიუახლოვდა წისქვილს. წის-ქვილის წინ მოეჩვენა ტყებში ნახული ლანდის ვსგავსი რა-ლაც საგანი.

— არა, გეუბნებ! არა! — აენთო ბეკო, — სახელითა მიმისათა უა ძისათა!

ლეო ქიაჩელი.

(შემდეგი იქნება)

